

მთავრობის სტრატეგიების საჯარო კომუნიკაცია - როცა სტრატეგია და პრაქტიკული საქმიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა

დავით ქუტიძე¹

თანამედროვე სამყაროში, საინფორმაციო წყაროებისა და ინფორმაციის მოცულობის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დეზინფორმაციისა და პროპაგანდასთან გამკლავება. ბუნებრივია, ეს გამოწვევა ეხება საქართველოსაც. მეტიც, წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულად დახვეწილი და მავნე პროპაგანდის პირდაპირი სამიზნეა. ის ერთ-ერთი პირველია, რომელიც თანამედროვე რუსული პროპაგანდის მსხვერპლი ჯერ კიდევ 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს გახდა.² ამასთან, წლების მანძილზე, რუსეთთან აფილირებული წყაროებიდან მოდის უამრავი გამოგონილი, განზრახ დამახინჯებული და პროპაგანდისტული გზავნილებით გაჯერებული ისტორიები, რომელთა ამკარა მიზანი ანტიდასავლური³ (აშშ-ის, ევროპის და დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია) განწყობების გაღვივებაა, რითაც რუსეთი საქართველოს გაცხადებული არჩევანისთვის - დასავლეთთან ინტეგრაციისთვის - ხელის შეშლას ცდილობს.⁴ აღნიშნული მცდელობები აღიარებული და ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად არის დასახელებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ანგარიშებში.⁵ ამასთან, სუს-ი არ არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც თავის დოკუმენტებში რუსულ ჰიბრიდულ საფრთხეებზე საუბრობს. ამდენად, ქვემოთ მიმოვიხილავთ სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციის სტრატეგიებსა თუ ანგარიშებს, რომლებიც ამ გამოწვევაზე ამხვილებენ ყურადღებას და მასთან ბრძოლის აუცილებლობას უსვამენ ხაზს. ამის პარალელურად კი, შევეცდებით გავაანალიზოთ, თუ რამდენად სრულდება აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტები პრაქტიკაში.

¹ კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“), საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: d.kutidze@ug.edu.ge

² რეალპოლიტიკა. (2021, 13 დეკემბერი). რუსული დეზინფორმაცია აგვისტოს ომის შესახებ და მისი ინტეგრაცია ქართულ პოლიტიკაში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iXOAPY> (25.01.2023).

³ მედიის განვითარების ფონდი (MDF). ანტიდასავლური პროპაგანდა. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3G8occn> (25.01.2023).

⁴ ქუტიძე, დ. (2021). თანამედროვე დილემა - დეზინფორმაციასთან რეგულირების გზით ბრძოლა VS სიტყვის თავისუფლება. კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iQjERK> (25.01.2023).

⁵ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ანგარიშები. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GUEwz4> (25.01.2023).

რუსული ჰიბრიდული საფრთხეები საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ოფიციალურ ლოკუმენტებში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიშში⁶ ნათქვამია, რომ „საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების [აქ ქვეყანა არ კონკრეტდება, თუმცა შემდგომ წლებში, ამ კონტექსტში მოხსენიებულია რუსეთის ფედერაცია] ძირითადი ამოცანებია: ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის შელახვა, საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის, უიმედობისა და ნიჰილიზმის გაჩენა, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დესტაბილიზაციის კერების შექმნა, რათა ქვეყანაში განვითარდეს დეზინტეგრაციული პროცესები და მოხდეს ქართული საზოგადოების პოლარიზაცია. საკუთარი ამოცანების შესასრულებლად, სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები კვლავ აქტიურად იყენებენ ჰიბრიდული ომის ტაქტიკას, რომლის საშუალებითაც პროპაგანდისტული მედიაკამპანიისა და დეზინფორმაციის კომპონენტების, კიბეროპერაციებისა და ცალკეული კიბერშეტევების, დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოებრივ-პოპულისტური გაერთიანებების გამოყენებით, სასურველი შედეგის მიღებას ცდილობენ“.

მსგავს გამოწვევებზე საუბარია უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიშშიც.⁷ 2019 წელს კი, სუს-ი პირდაპირ ასახელებს⁸ სახელმწიფოს, რომელიც ე.წ. ჰიბრიდული ომის წყაროა: „საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის ფარგლებში იკვეთება ხუთი ძირითადი ინსტრუმენტი: საოკუპაციო ძალები და დე-ფაქტო რეჟიმები (სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, აღნიშნული ინსტრუმენტით მოქმედებს მხოლოდ რუსეთის ფედერაცია), ე.წ. საინფორმაციო ომი, ე.წ. „რბილი ძალა“, ეკონომიკური ბერკეტები, ფარული ოპერაციები“.

რუსეთის ფედერაცია, როგორც საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წყარო, მოხსენიებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიშში.⁹ საინფორმაციო საფრთხეების შესახებ საუბარია სუს-ის 2021¹⁰ წლის ანგარიშშიც, სადაც

⁶ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2017 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SuHXSv> (25.01.2023).

⁷ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2018 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KAvQIR> (25.01.2023).

⁸ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2019 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3W1pfll> (25.01.2023).

⁹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2020 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3W4Oy6h> (25.01.2023).

¹⁰ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2021 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZmlWHz> (25.01.2023).

აღნიშნულია, რომ „დეზინფორმაციული კამპანიების მთავარ სამიზნეს კვლავ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხი წარმოადგენდა. ყალბი ამბებისა და გამოგონილი ისტორიების გავრცელებით, მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობაში ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობისა და მოკავშირეების დისკრედიტირების მცდელობები. ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, 2021 წელს კვლავ აქტუალური იყო მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხებით მანიპულირება, რომელსაც აქტიურად აწარმოებდნენ ცალკეული სახელმწიფოები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი პირები“.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით,¹¹ დამტკიცდა ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ 2017-2020 წლების სტრატეგია, რომელშიც ანტიდასავლურ დეზინფორმაციასთან გამკლავება ერთ-ერთ გამოწვევად იქნა დასახული. სტრატეგიის ამოცანები იყო: 1. საქართველოს ევროკავშირისა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; 2. საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; 3. სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; 4. საზოგადოებაში ევროკავშირისა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა; 5. მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება; 6. ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში საქართველოს, როგორც ევროპული, დემოკრატიული ქვეყნის წარმოჩენა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში; 7. ევროკავშირისა და ნატოს ინსტიტუტებსა და წევრ ქვეყნებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

რუსეთის ფედერაციიდან წამოსულ ჰიბრიდულ საფრთხეებზე საუბარია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021-2024 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიაშიც.¹² კერძოდ, აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში

¹¹ საქართველოს მთავრობა. (2017, 13 აპრილი). განკარგულება №765 - ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WpaBEY> (25.01.2023).

¹² საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია (2021-2024). ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XSd4bU> (25.01.2023).

დარღვევა, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარება, მათი მზარდი მილიტარიზაცია, „მცოცავი ოკუპაცია“ და სხვა ჰიბრიდული მეთოდების გამოყენება, ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს რთულსა და არაპროგნოზირებადს ხდის. რუსეთის ფედერაცია მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებს საკუთარი სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის ხელსაყრელი საინფორმაციო გარემოს შესაქმნელად, მათ შორის, ცდილობს შეასუსტოს საქართველოს მოქალაქეთა მხარდაჭერა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ და გააღვივოს საზოგადოების მცირე ნაწილში ამ საკითხისადმი არსებული უთანხმოება... გარე და შიდა აქტორებისგან მომავალ საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებზე რეაგირება შესაძლოა ზოგჯერ დაგვიანებული ღონისძიება იყოს, ვინაიდან სენსაციური და, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის განწყობებზე მორგებული დეზინფორმაცია სამიზნე აუდიტორიის განწყობებზე გარკვეულ კვალს მაინც ტოვებს. თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოებისთვის მუდმივ რეჟიმში ობიექტური ინფორმაციის მიზანმიმართულად და პროაქტიულად მიწოდება შეზღუდავს შესაძლო დეზინფორმაციების ეფექტური გავრცელების არეალს და შეამსუბუქებს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მავნე ზემოქმედებას“.

ანალოგიურად, ანტიდასავლურ საინფორმაციო კამპანიებთან ბრძოლა ხაზგასმულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019-2022 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში.¹³ „მნიშვნელოვნად გაზრდილია კიბერსაფრთხეები, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებში განუხრელად იზრდება „რბილი ძალის“ როლი, რისთვისაც გამოიყენება პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ტექნოლოგიური საშუალებები... რუსეთის ფედერაცია თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სამხედრო ძალასთან ერთად, სულ უფრო აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს და ცდილობს ბიძგი მისცეს ცალკეული ქვეყნების საზოგადოების ყველა ფენაში ტრადიციულად ჩამოყალიბებული დასავლური ღირებულებების გადახედვის პროცესს“. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სტრატეგიის მიზნებად განისაზღვრა „ქვეყნის მასშტაბით საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება... ასევე „საქართველოს მოსახლეობაზე მზარდი ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება“.

საინფორმაციო სივრცეში რუსეთიდან წამოსულ საფრთხეებთან გამკლავების აუცილებლობაზე საუბარია საქართველოს მთავრობის კიბერუსაფრთხოების 2021-2024 წლების

¹³ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3R0zCFb> (25.01.2023).

ეროვნულ სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმაში:¹⁴ „საქართველო არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცის დაცვასთან ერთად, ჯერ კიდევ 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, დღის წესრიგში დაუდგა კიბერსაომარი მოქმედებებისგან საკუთარი კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქვეყნის პოლიტიკური კურსი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ სწრაფვა საქართველოს, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ხდის პოლიტიკურად მოტივირებული კიბერშეტევების, ინფორმაციული პროპაგანდის, ყალბი ინფორმაციის, კიბერჯაშუშობისა და კიბერტერორიზმის სამიზნედ... რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მართული საინფორმაციო ომი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მალალ ხარისხს, ქმნის ნიადაგს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის, რაც, მიმდინარე სამხედრო ოკუპაციის კვალდაკვალ, ეროვნული უსაფრთხოებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს... ქართული საზოგადოების არჩევანზე, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობის გაძლიერებას, რუსული გავლენისგან გათავისუფლებასა და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ითვალისწინებს, ხდება მიზანმიმართული ზემოქმედება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის სახეცვლილებისა და ერთგვარად ნეიტრალური საგარეო კურსის გატარების მიზნით“.

შეიძლება ითქვას, სწორედ ზემოთ აღწერილ საფრთხეებთან გამკლავებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნა.¹⁵ ამ სამსახურების გაცხადებულ მიზანს ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ამასთან, 2018 წელს კომუნიკაციების კომისიას დაემატა ქვეყანაში მედია წიგნიერების განმავითარებლის ფუნქცია და კომისიაში შესაბამისი დეპარტამენტიც შეიქმნა.¹⁶

¹⁴ საქართველოს მთავრობა. (2021). დადგენილება №482 - საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 - 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iZsWuC> (25.01.2023).

¹⁵ საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხი. (2018, 2 ნოემბერი). მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H03YDs> (25.01.2023).

¹⁶ კომუნიკაციების კომისია. (2018, 11 ოქტომბერი). „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის

ჩვენ მიერ განხილული სხვადასხვა სახელმწიფო უწყების სტრატეგიებიდან თუ ანგარიშებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება ნათლად ხედავდა და ხედავს იმ საფრთხეებს, რაც რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ე.წ. ჰიბრიდული ომის ფარგლებში მოდის. ფაქტობრივად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში, ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად აღიარებულია რუსეთის მცდელობები, როგორც შეცვალოს და ჩამოაყალიბოს ქართული საზოგადოების აზრი დასავლეთისა და ევრო-ატლანტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამასთან, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა უწყებას ჩამოყალიბებული აქვს ამ გამოწვევასთან ბრძოლის გზები. თუმცა, ერთია რა წერია პოლიტიკის დოკუმენტებში და მეორე - რა კეთდება პრაქტიკაში. ამის შესაფასებლად, გავანალიზეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, კერძოდ მთავრობისა და ზემოთ აღნიშნული სხვა უწყებების სტრატეგიული დეპარტამენტების Facebook-ის გვერდები. ბუნებრივია, სტრატეგიული კომუნიკაცია¹⁷ და შესაბამისი სამსახურების საქმიანობა მხოლოდ Facebook-ში აქტიურობის მხრივ ვერ შეფასდება და ის მრავალი სხვადასხვა ასპექტისგან უნდა შედგებოდეს. თუმცა, საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ამჯერად, მხოლოდ აღნიშნულ სოციალურ პლატფორმას (საქართველოში ყველაზე პოპულარულ¹⁸) განვიხილავთ. კერძოდ, შევისწავლით საქართველოს მთავრობის სტრატკომის,¹⁹ თავდაცვის სამინისტროს სტრატკომის²⁰ და საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომის²¹ Facebook გვერდებს.

მთავრობის სტრატკომი

მთავრობის სტრატკომის ამჟამად მოქმედი Facebook გვერდი 2021 წლის 5 ოქტომბერს შეიქმნა.²² 2023 წლის 25 იანვრის მონაცემებით, გამოქვეყნებული იყო 38 პოსტი, ხოლო გვერდს

პირველი მარტის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XGJPM> (25.01.2023).

¹⁷ Idea.org. *What is strategic communications?* ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iZz4ms> (25.01.2023).

¹⁸ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) - საქართველო. (2021). *საზოგადოების განწყობა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.* ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wnSEvV> (25.01.2023).

¹⁹ მთავრობის სტრატკომის Facebook გვერდი. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/govstratcom> (25.01.2023).

²⁰ თავდაცვის სამინისტროს სტრატკომის Facebook გვერდი. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/MODSTRATCOM/> (25.01.2023).

²¹ საგარეო საქმეთა სტრატკომის Facebook გვერდი. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/MFAStratCom> (25.01.2023).

²² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XN2blo> (25.01.2023).

დაახლოებით 8 900 გამომწერი ჰყავდა. აღნიშნულ გვერდზე პირველი პოსტი²³ 2021 წლის 6 ოქტომბერს გამოქვეყნდა - ეს იყო პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის წერილი, რომელიც საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლას შეეხებოდა. წერილში საუბარია ჩამოსვლის მიზეზებზე და აღნიშნულია, რომ ყოფილი პრეზიდენტი ხელისუფლების გადატრიალების იმედით დაბრუნდა. ამის შემდგომ, რამდენიმე პოსტი მიეძღვნა დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, 2021 წლის 10 ოქტომბრის პოსტში²⁴ მოკლედაა განმარტებული დეზინფორმაციის, მის-ინფორმაციისა და მალ-ინფორმაციის არსი. მთავრობის სტრატეგიის 13 ოქტომბრის პოსტში²⁵ საუბარია იმ მიზნებზე, რის გამოც დეზინფორმაცია ვრცელდება. ხოლო, ორი დღის შემდეგ გამოქვეყნებულია რამდენიმე რჩევა,²⁶ თუ როგორ ამოვიცნოთ დეზინფორმაცია. 2021 წლის 17 ოქტომბერს მთავრობის სტრატეგიის გვერდზე გვხვდება ცდნობა²⁷ მედია და ინფორმაციული წიგნიერების შესახებ. 19 ოქტომბრის პოსტში²⁸ მოცემულია სტრატეგიული კომუნიკაციების ერთგვარი განმარტება NATO-ს შესაბამისი პრინციპების მიხედვით. 22 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ინფორმაციაში²⁹ კი, საუბარია დემოკრატიულ პროცესზე დეზინფორმაციის მავნე გავლენის შესახებ. აღნიშნული ექვსი პოსტით, მთავრობის სტრატეგიის გვერდმა დეზინფორმაციის არსის შესახებ განმარტებები ამოწურა. ამავდროულად, არაფერია ნათქვამი პროპაგანდის, „რბილი ძალის“, ჰიბრიდული ომის და ამ კონტექსტში საქართველოს საფრთხეების შესახებ, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელისუფლების მიერ მომზადებულ ფაქტობრივად ყველა პოლიტიკის დოკუმენტში წერია.

მთავრობის სტრატეგიის Facebook გვერდის აქტივობებიდან გამოსარჩევია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია კოვიდ-19 -ისა და ვაქცინაციის შესახებ. 2021 წლის 31 ოქტომბერს გამოქვეყნდა პოსტი,³⁰ რომელიც უარყოფდა რამდენიმე ონლაინ მედია საშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ვირუსის გავრცელების გამო თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა შეიზღუდებოდა. გარდა ამისა, გავრცელდა შემდეგი პოსტები კოვიდ-19 -ის შესახებ: რა არის ევროკავშირის ციფრული კოვიდ-სერტიფიკატი?³¹ (15.11.2021); წარმატებული ვაქცინაციის მაგალითები ევროპაში³² (16.11.2021); მოწოდება - არ

²³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3D9hq6N> (25.01.2023).

²⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3J7qnkH> (25.01.2023).

²⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JayRri> (25.01.2023).

²⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DchRNz> (25.01.2023).

²⁷ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iYdrmj> (25.01.2023).

²⁸ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GZQzeB> (25.01.2023).

²⁹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iWpYqS> (25.01.2023).

³⁰ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XOs6zC> (25.01.2023).

³¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kzYs2K> (25.01.2023).

³² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iYLbAf> (25.01.2023).

ენდო კოვიდ-19 -თან დაკავშირებულ დეზინფორმაციას. ის ოფიციალური წყაროები, საიდანაც საზოგადოებას შესაბამისი ცნობების მიღება შეუძლია³³ (21.12.2021); ინფორმაცია ციფრული კოვიდ-სერტიფიკატების მოქმედების ვადის შესახებ³⁴ (22.12.2021); მითები და რეალობა კოვიდ-19 -ის შესახებ³⁵ (11.01.2022); რა არის ვაქცინის ბუსტერ დოზა?³⁶ (28.01.2021). იმის გათვალისწინებით, რომ კოვიდ-19 -ისა და ვაქცინაციის შესახებ არაერთი დეზინფორმაცია ვრცელდებოდა, რაც სუს-ის ზემოთხსენებულ ანგარიშშიც აისახა, მთავრობის სტრატეგიის ამ მიმართულებით აქტივობა პოზიტიურად უნდა შეფასდეს. თუმცა, რამდენად საკმარისი იყო ამ თემის ირგვლივ გავრცელებული ინფორმაცია (შვიდი პოსტი), ეს ცალკე საკითხია.

მთავრობის სტრატეგიის Facebook გვერდზე დაკვირვებამ გამოკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ის ყველაზე მეტ რესურსს ქართული მედიის, ძირითადად ხელისუფლებისადმი კრიტიკული ტელევიზიების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირებას უთმობს. მონიტორინგის პერიოდში ცხრა ასეთი შემთხვევა გამოვლინდა: 1. „ტვ პირველის“, „ფორმულას“ და „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (არჩევნების მეორე ტურის წინ სპეცდანიშნულების რაზმების სავარაუდო მობილიზების შესახებ) უარყოფა და მისი დეზინფორმაციად შეფასება³⁷ (23.10.2021); 2. „ტვ პირველის“, „ფორმულასა“ და „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (პრემიერ ღარიბაშვილის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ბაკურიანში) უარყოფა და დეზინფორმაციად შეფასება³⁸ (04.02.2022); 3. „ტვ პირველის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (სავარაუდო ნეპოტიზმის ფაქტის შესახებ) უარყოფა და დეზინფორმაციად შეფასება³⁹ (12.02.2022); 4. „ცალკეული მედია საშუალებების“ (დაკონკრეტებული არ არის) მიერ გავრცელებული ინფორმაციის (ირაკლი ღარიბაშვილის სავარაუდო ინტერესების შესახებ ნავთობის გადაზიდვის სექტორში) უარყოფა და დეზინფორმაციად შეფასება⁴⁰ (16.02.2022); 5. „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (სანქცირებული რუსული ტვირთის, სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორიაზე გავლის შესახებ) უარყოფა და დეზინფორმაციად შეფასება⁴¹ (03.05.2022); 6. „ფორმულას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (ჯანდაცვის სექტორში პრემიერის სავარაუდო

³³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3J7t1Hi> (25.01.2023).

³⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XFllk8> (25.01.2023).

³⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XQjR6e> (25.01.2023).

³⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H4YwPs> (25.01.2023).

³⁷ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3D6YHbW> (25.01.2023).

³⁸ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WO0hGV> (25.01.2023).

³⁹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H39yov> (25.01.2023).

⁴⁰ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DaiEi7> (25.01.2023).

⁴¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XPX4HB> (25.01.2023).

კორუფციული ინტერესების შესახებ) უარყოფა და დეზინფორმაციად შეფასება⁴² (05.05.2022); 7. „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (თითქოს ღარიბაშვილმა ევროპარლამენტარებთან შეხვედრა გააუქმა) უარყოფა და დეზინფორმაციად შეფასება⁴³ (20.07.2022); 8. ლარის კურსის შესახებ „ტვ პირველის“ სიუჟეტის დეზინფორმაციად შეფასება⁴⁴ (15.08.2022); 9. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადების გაზიარება, რომელიც თავის მხრივ უარყოფს ერთ-ერთი ტელევიზიის (დაკონკრეტებული არ არის) მიერ გავრცელებულ ინფორმაციას⁴⁵ (04.12.2022).

რაც შეეხება მთავრობის სტრატეგიის Facebook გვერდის სხვა აქტივობებს, 2022 წლის თებერვალში აქ გავრცელდა პრემიერ ღარიბაშვილის სოლიდარობის გამომხატველი განცხადება უკრაინის მიმართ და რუსეთის მიერ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების აღიარების დაგმობა. აღსანიშნავია, რომ თებერვლის შემდგომ ამ გვერდზე უკრაინის მხარდამჭერი განცხადებები აღარ გავრცელებულა, არც მაშინ, როცა რუსეთმა, სრულიად უკანონო და ყალბი რეფერენდუმის საფუძველზე, უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიები თავისად გამოაცხადა.⁴⁶ გარდა ამისა, 2022 წლის განმავლობაში მთავრობის სტრატეგიამ გაავრცელა ირაკლი ღარიბაშვილისადმი მიწერილი სხვადასხვა დასავლელი ლიდერის წერილები და საქართველოს მიმართ გაკეთებული რამდენიმე პოზიტიური განცხადება. ამასთან, 22 თებერვალს ამავე გვერდზე გავრცელდა მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსის ნინო გიორგობიანის პოსტი, სადაც ის აჯამებს ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობის ერთ წელს და საუბრობს პრემიერის წარმატებებზე.⁴⁷ წლის ბოლოს, 30 დეკემბერს კი, სტრატეგიამ გაავრცელა ვიდეო, რომელშიც ასახულია ირაკლი ღარიბაშვილის 2022 წლის უმაღლესი რანგის შეხვედრები.⁴⁸

როგორც მთავრობის სტრატეგიის Facebook გვერდის მონიტორინგი გვიჩვენებს, განსხვავებით ხელისუფლების სხვადასხვა სტრატეგიის დოკუმენტისგან, რომლებიც ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რუსულ ჰიბრიდულ ომს თვლიან და მასთან ბრძოლის აუცილებლობაზე საუბრობენ, პრაქტიკაში მსგავსი აქტივობები არ შეინიშნება. მთავრობის სტრატეგიის გვერდი მეტწილად ფოკუსირებულია კრიტიკული ტელეარხების მიერ

⁴² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3R9LeG7> (25.01.2023).

⁴³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Xzlc0k> (25.01.2023).

⁴⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wwwaZv> (25.01.2023).

⁴⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XA6FCy> (25.01.2023).

⁴⁶ ხელმისაწვდომია: <https://econ.st/3XQ6N0z> (25.01.2023).

⁴⁷ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZXgnAu> (25.01.2023).

⁴⁸ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H5fMnl> (25.01.2023).

გავრცელებული ინფორმაციის უარყოფაზე. ამ დოკუმენტის მიზანს არ წარმოადგენს იმის შეფასება, კონკრეტული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ცნობები მთავრობის არგუმენტირებული კრიტიკაა, დაბალი პროფესიული სტანდარტით მომზადებული პროდუქტი, თუ დეზინფორმაცია. აქ მთავარი საკითხი ისაა, რომ სტრატეგიის მსგავსი ტიპის გამომხატვრები ისეთ საკითხებზე ხდება, რომელიც მეტწილად, პრემიერისა და მთავრობის იმიჯს ეხება, რაც ნათლად აჩვენებს სტრატეგიის ფუნქციის არასწორ აღქმას ხელისუფლების მხრიდან - პირად რეპუტაციაზე ზრუნვას. ის მართლაც კრიტიკული საფრთხეები კი, როგორცაა რუსული ჰიბრიდული ომი, პროპაგანდა და რუსული წყაროებიდან მომდინარე დეზინფორმაცია, რომლის მიზანიც საქართველოს პროდასავლური კურსის შეცვლაა, მთავრობის სტრატეგიის Facebook გვერდის ყურადღების მიღმა რჩება. ეს იმ დროს, როცა საქართველოში მოქმედებენ დიად პრორუსული და ანტიდასავლური გამოცემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და სხვადასხვა გავლენის აგენტები (იხ. შესაბამისი ბმულები: 1,⁴⁹ 2⁵⁰). ამ ყველაფრის ფონზე, ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება კითხვა, თუ რამდენად ჯეროვნად ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობებს მთავრობის სტრატეგია.

თავდაცვის სამინისტროს სტრატეგია

სოციალურ ქსელ Facebook-ში აღნიშნული გვერდი 2020 წლის 5 თებერვალს შეიქმნა.⁵¹ 2023 წლის 25 იანვრის მონაცემებით, გვერდზე გამოქვეყნებული იყო 68 პოსტი, ხოლო მისი გამომწერთა რაოდენობა 10 ათასს შეადგენდა. გვერდის მიერ გამოქვეყნებულ პირველ პოსტში⁵² აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის „ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი დეზინფორმაციასთან და ყალბ ახალ ამბებთან ბრძოლა“.

თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიამა დეზინფორმაციის განმარტებას რამდენიმე⁵³ პოსტი⁵⁴ მიუძღვნა. გხვდება მოკლე ვიდეო-კლიპიც⁵⁵ ინფორმაციის გადამოწმების ხერხების

⁴⁹ საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). *ჰუბლიკაციები - საქართველოს გუშაგი*. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wolexl> (25.01.2023).

⁵⁰ საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). *GRASS დეზინფორმაციის ბრიფი - პუტინის ომი უკრაინაში*. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/404RAuy> (25.01.2023).

⁵¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H1q0pj> (25.01.2023).

⁵² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3klq7Pe> (25.01.2023).

⁵³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WE9AJf> (25.01.2023).

⁵⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wrpjAz> (25.01.2023).

⁵⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JcM7M2> (25.01.2023).

შესახებ, ასევე, პროპაგანდის,⁵⁶ ჰიბრიდული ომისა⁵⁷ და მედიაწინგნიერების⁵⁸ განმარტების თითო-თითო პოსტიც.

რაც შეეხება სხვა ტენდენციებს, აქაც, ისევე როგორც მთავრობის სტრატეგიის შემთხვევაში, გამოიკვეთა კონკრეტულ ტელევიზიებზე გამომხატულებისა და მათი დეზინფორმაციის გამავრცელებლად მოხსენიების ფაქტები. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი პოსტების უმრავლესობა ეხება ხელისუფლებისადმი კრიტიკულ ტელეარხებს - „ტვ პირველს“, „მთავარ არხს“ და „ფორმულას“. გვერდზე სულ გამოქვეყნებული 68 პოსტიდან, მსგავსი შინაარსის იყო - 25, საიდანაც 13 „ტვ პირველის“ ინფორმაციას ეხმარებოდა, 10 „მთავარი არხის“, ხოლო ორი „ფორმულას“. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიაში კიდევ ცხრა შემთხვევაში გამოეხმაურა სხვადასხვა მედიასაშუალებას, თუმცა, მათი სახელები არ დაუკონკრეტებია. სტრატეგიაში თითოეულ გამოეხმაურა ონლაინ მედია საშუალება „ნიუპოსტისა“ და CNews-ის მიერ მომზადებულ მასალას და ხუთჯერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ სხვადასხვა ინფორმაციას, რომლებიც უშუალოდ თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრს ეხებოდა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიაში ძირითადად მსგავსი ტიპის სიახლეებზე რეაგირებდა.

რაც შეეხება რუსულ წყაროებს, თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიაში მათ მიერ გავრცელებულ ცნობებზე რეაგირება ორჯერ მოახდინა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა⁵⁹ ეხებოდა რუსული გვერდის (Реалист-realtribune.ru) ცნობას. სამინისტროს განცხადებით, ეს გვერდი „ცდილობს გააცოცხლოს მრავალჯერ გაქარწყლებული დეზინფორმაციული ნარატივი და ამტკიცებს, თითქოს ახალქალაქში ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები უკავშირდება თურქული სამხედრო ბაზის განლაგებას“.

ზემოაღნიშნული ტენდენციების გარდა, თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიაში ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის განცხადება, კოვიდ-19-თან დაკავშირებული ცნობები, რამდენიმე სიახლე სამხედრო სფეროდან, სიახლეები თავად სტრატეგიის შესახებ და სხვადასხვა დასავლელი ლიდერის რამდენიმე ფრაზა.

როგორც თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიის Facebook გვერდის მონიტორინგმა აჩვენა, ის ძირითადად რეაგირებს სხვადასხვა მედიასაშუალების, განსაკუთრებით ხელისუფლების

⁵⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Defn19> (25.01.2023).

⁵⁷ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3RcJGev> (25.01.2023).

⁵⁸ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XOb58U> (25.01.2023).

⁵⁹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kEXsdG> (25.01.2023).

მიმართ კრიტიკული ტელეარხების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე და მოიხსენიებს მათ „ანგაჟირებულებად,“ დეზინფორმაციული კამპანიისა და „ანტისახელმწიფოებრივი“ ინფორმაციის გამავრცელებლად, „პარტიულ ტელევიზიებად“ და ა.შ. ეს იმ ფონზე, როცა თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიაში⁶⁰ ხაზგასმულია მედიასთან თანამშრომლობის აუცილებლობა: „თანამედროვე საინფორმაციო გამოწვევებთან გასამკლავებლად მნიშვნელოვანია ჟურნალისტებთან და აზრის ლიდერებთან სწორი კომუნიკაციის დამყარება და მათთვის სამინისტროს ხედვისა და პერსპექტივის გაზიარება, განსაკუთრებით საინფორმაციო სივრცეში არსებული გამოწვევების შესახებ. ვინაიდან, ჟურნალისტებს ყოველდღიურ რეჟიმში, საკუთარი პროფესიული მოვალეობების შესრულების დროს რეგულარულად უწევთ საინფორმაციო ზეგავლენის ღონისძიებებთან შეხება, აუცილებელია ისინი ამ გამოწვევას მომზადებულები შეხვდნენ...“ რთული სათქმელია, რამდენად არის ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი ეპითეტები „ჟურნალისტებთან სწორი კომუნიკაციის დამყარება“.

მთავრობის სტრატეგიის მსგავსად, არც თავდაცვის სამინისტროს სტრატეგია წარმოადგენს რუსულ/ანტიდასავლურ დეზინფორმაციულ წყაროებთან ბრძოლის განსაკუთრებულ მაგალითს. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიის Facebook გვერდიც, სტრატეგიით გაწერილ მიზნებსა და რეალურ აქტივობებს შორის აშკარა აცდენას ამჟღავნებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგია

სოციალურ ქსელ Facebook-ში აღნიშნული გვერდი 2021 წლის 15 ივნისს შეიქმნა.⁶¹ 2023 წლის 25 იანვრის მონაცემებით, გვერდზე გამოქვეყნებული იყო 55 პოსტი, ხოლო მისი გამომწერთა რაოდენობა - 1 700. საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის გვერდის პირველი პოსტი⁶² მისი შექმნიდან რამდენიმე თვეში, 2021 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნდა. პოსტში აღნიშნულია, რომ „დეზინფორმაცია და Fake News-ი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისთვის და საზიანოა, როგორც შიდა აუდიტორიისთვის, ასევე ქვეყნის საერთაშორისო პოზიციონირებისთვის. საგარეო საქმეთა

⁶⁰ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. *საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია (2021-2024)*. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XSd4bU> (25.01.2023).

⁶¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HaeTdC> (25.01.2023).

⁶² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3RdoFjR> (25.01.2023).

სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის Facebook პლატფორმის შექმნა ემსახურება ფაქტებზე დაფუძნებული, ზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნებას, საქართველოს საგარეო პოლიტიკის და სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ თემატიკაზე“.

სტრატეგიის გვერდის შემდეგი პოსტი⁶³ კი „ტვ პირველის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (იმის შესახებ, რომ უცხოეთში არსებულ დიპლომატიურ მისიებში არაკვალიფიციური კადრები საქმდებიან) უარყოფას ეხებოდა. საერთო ჯამში, სტრატეგიის „ტვ პირველის“ ოთხ სიუჟეტზე მოახდინა რეაგირება, ხოლო ერთ შემთხვევაში ტელეკომპანია „ფორმულას“ გამოეხმაურა.⁶⁴ ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის Facebook გვერდი რამდენჯერმე გამოეხმაურა კონკრეტული პერსონების, მათ შორის, პოლიტიკოსების განცხადებებს. სხვადასხვა სიახლეებთან ერთად, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიი ავრცელებდა მინისტრის სხვადასხვა განცხადებას (11 პოსტი).

ზემოაღნიშნულის გარდა, ამ პლატფორმაზე გვხვდება მთავრობის სტრატეგიის გვერდიდან გაზიარებული პოსტი, რომელიც დეზინფორმაციის გავრცელების მიზნებს ეხება. ასევე, გამოქვეყნებულია შვიდი ე.წ. ქარდი (პოსტი ფოტოს სახით) Facebook-ის გზამკვლევის რჩევები ყალბი ამბების ამოცნობის გზების შესახებ. რუსული ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ საუბარია პოსტებში, რომლებიც NATO-სა⁶⁵ და ევროპარლამენტის⁶⁶ რეზოლუციებში გაჟღერდა. ამასთან, სხვადასხვა დროს, სტრატეგიის გვერდზე გამოქვეყნებულია პოსტები კიბერ-უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცებისა და სამინისტროში გამართული სემინარების⁶⁷ შესახებ სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერებისთვის.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საჯარო აქტივობებიდან ხაზგასასმელია რეაგირება⁶⁸ სოხუმის დე-ფაქტო რეჟიმის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის განცხადებაზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ თითქოს საქართველო ახდენს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების იზოლაციას და ზღუდავდეს იქ მცხოვრები მოსახლეობის გარე სამყაროსთან კონტაქტს. კიდევ ერთი პოსტი კი, ეძღვნება სერბეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ოფისის რეაგირებას სერბეთის ეროვნული ავიახაზების „Air Serbia“-ს ყოველთვიურ ჟურნალში „ELEVATE“ გამოქვეყნებულ მასალაზე, რომელშიც დაიბეჭდა მსოფლიო რუკა, რომელზეც

⁶³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WBLA9y> (25.01.2023).

⁶⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3j4EEUS> (25.01.2023).

⁶⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kGllBN> (25.01.2023).

⁶⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Dg5hNn> (25.01.2023).

⁶⁷ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JfxpnQ> (25.01.2023).

⁶⁸ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kB4wl9> (25.01.2023).

საქართველო საერთოდ არ იყო აღნიშნული და საქართველოს ტერიტორია რუსეთის ფედერაციის საზღვრებში იყო მოქცეული. პოსტის განახლებაში კი აღნიშნულია, რომ სერბეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, ისინი დაუკავშირდნენ „Air Serbia“-ს ოფიციალურ პირებს „უნებლიე შეცდომის“ გამოსასწორებლად.⁶⁹

ბუნებრივია, რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის მხრიდან ზემოთ მოცემული ან მსგავსი პოსტების გავრცელება მისასაღმებელია, თუმცა, საკითხავია, რამდენად საკმარისია მსგავსი სახის რეგირებები მაშინ, როცა რუსეთიდან საქართველოს წინააღმდეგ დეზინფორმაცია, ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში ვრცელდება.

როგორც მთავრობის, კონკრეტული სამინისტროებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური დოკუმენტების მიმოხილვამ აჩვენა, ხელისუფლება საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდულ საფრთხეებზე, მათ შორის, ისეთ პროპაგანდისტულ კამპანიებსა და დეზინფორმაციაზე, რომლის ცალსახა მიზანი ქართველი ხალხის არჩევანისთვის - დასავლეთთან ინტეგრაციისთვის - ხელის შეშლა და საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებაა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი გამოწვევის საპასუხოდ, 2018 წელს, სამინისტროებში შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები, რომელთა ყოველდღიურ საქმიანობასაც რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, მთავრობის, თავდაცვის სამინისტროს, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიების Facebook (ამჟამად საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელის) გვერდების მონიტორინგმა აჩვენა, რომ პრაქტიკა სულ სხვა რეალობას გვიჩვენებს. აღნიშნული გვერდები მეტწილად ისეთი ტიპის ინფორმაციაზე რეაგირებენ, რომელიც მინისტრისა თუ სამინისტროს რეპუტაციას ეხება. რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლა კი, მიუხედავად მისი სიჭარბისა ქართულ საინფორმაციო სივრცეში, იშვიათად გვხვდება. მართალია, სტრატეგიებს გამოქვეყნებული აქვთ რამდენიმე პოსტი, ე.წ. ქარდი თუ ვიდუო დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შესახებ, თუმცა მსგავს აქტივობებს არ აქვთ პერმანენტული და პროაქტიული ხასიათი. ამასთან, ძალიან იშვიათადაა ხაზგასმა იმაზე, რომ ძირითადი და ყველაზე მავნე პროპაგანდისტული კამპანიები რუსეთიდან უწყვეტად მოდის. სტრატეგიების

⁶⁹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Df9Ur2> (25.01.2023).

სიჩუმე იმ დროს, როცა შიდა თუ გარე ძალები აქტიურად ავრცელებენ⁷⁰ კონსპირაციის თეორიას იმის შესახებ, რომ დასავლეთს საქართველოს რუსეთ-უკრაინის ომში ჩართვა და აქ მეორე ფრონტის გახსნა სურს, სხვა არაფერია თუ არა მათი ძირითადი ფუნქციის ვერ, თუ არ შესრულება. ეს კი, ანტიდასავლური დეზინფორმაციის მხოლოდ ერთი მაგალითია იმ უამრავთაგან, რომელიც საქართველოში ვრცელდება, ხოლო ის, თუ რატომ არ ხდება მსგავს საკითხებზე რეაგირება, ცალკე ანალიზის საგანია.

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც ზემოხსენებული გვერდების მონიტორინგისას გამოიკვეთა, ისაა, რომ სტრატეგომები, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტ რესურსს ხელისუფლებისადმი კრიტიკული ტელევიზიების მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფასა და მათ დეზინფორმაციად მოხსენიებას უთმობენ (გამონაკლისია საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგომი, სადაც მსგავსი სახის პოსტები უფრო ნაკლებად გვხვდება). ამ დოკუმენტის მიზანს არ წარმოადგენს იმის შეფასება, კონკრეტული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ცნობები მთავრობის არგუმენტირებული კრიტიკაა, დაბალი პროფესიული სტანდარტით მომზადებული პროდუქტი თუ დეზინფორმაცია. აქ მთავარი საკითხია ის, რომ სტრატეგომების ყურადღება ძირითადად კრიტიკულ მედიაზეა და „დეზინფორმაციის გამავრცელებლბებადაც“ სწორედ ისინი იწოდებიან. ეს განსაკუთრებით შემამფოთებელია, თუ გავიხსენებთ ბოლო წლებში გავრცელებულ ტენდენციას - მოქმედი ხელისუფლების აგრესიულ რიტორიკას მედიის მიმართ.⁷¹ ამდენად, როცა სტრატეგომები ქვეყნისთვის რეალურად მტრული რუსული დეზინფორმაციის ნაცვლად, „შიდა მტერს“ ებრძვიან, მათი თავდაპირველი ფუნქციების შესრულება დიდი ეჭვის ქვეშ დგება.

⁷⁰ გეგიძე, თ. (2022, 21 ივლისი). ნახეთ ციტატები "ომში ჩართვაზე", რომელთა ჩვენებასაც სამხარაძე ითხოვდა და ამტკიცებდა, თითქოს არ არსებობს. On.ge. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XKWpYk> (25.01.2023).

⁷¹ ქუტიძე, დ. (2021). საქართველოს ხელისუფლების აგრესიული, პროპაგანდისტული რიტორიკა მედიის მიმართ - ავტორიტარების მიერ გამოცდილი ხერხი ჟურნალისტების დისკრედიტაციისთვის. კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HDaL7D> (25.01.2023).